ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4622956

ნომერი: AR1698934

თარიღი : 05.08.2019

გაცემის თარიღი : 07.08.2019

გაცნობის თარიღი : 08.08.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მირანდა კერვალიშვილი პ/ნ 04001006854
- ამბროლაური ს. ჭრებალო

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ჭავჭავაძის გამზირი №25-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.14.012.005) გაიცა წერილობითი დასტური ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე. ასევე სამსახურის 2018 წლის № 4329783 გადაწყვეტილებით კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე გაიცა წერილობითი დასტური ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით. სამსახურის ზემოაღნიშნული აქტები გასაჩივრებულია შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ მიერ და დღევანდელი მდგომარეობით სამსახურის ზემოაღნიშნული აქტების კანონიერებას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ასევე გაცნობებთ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის №3ბ/249-19 განჩინებით შეჩერდა სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №428376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილების მოქმედება, განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან მიმდინარე განცხადებით ითხოვთ აბრის მოწყობას სწორედ იმ ფასადის ფუნქციონირებისათვის, რომლის რეკონსტრუქციის სამუშაოები შეჩერებულია 2019 წლის 19 თებერვლის №3ბ/249-19 განჩინებით, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს AR1698934 განცხადებით წარმოდგენილი სამუშაოები.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.